ფურიე

და

მისი ასოციაციური სწავლა

თ ბ ი ლ ი ს ი
სტამბა მ. ე. ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა, სახ. № 3.
1 9 0 6 წ.

ფურიე

კაცი განცვიფრებაში მოდის, როცა კი წარმოიდგენს საფრანგეთის მეთვრამეტე საუკუნეს და მის წარმომადგენელ მეცნიერ მოღვაწე პირთ ცხოვრების ცნობებს. რა არ მოხდა ამ ხალხში, რა შემთხვევები, რა მოღვაწეები არ გამოჩნდნენ აქ როგორც მამაკაცებში, ისევე დედაკაცებში. პირველად აქ დაიძრა ბატონ-ყმობის შესახებ ღაღადება და მეცადინეობა და ეს აქვე გათავდა 1789 წ.

დიდმა რევოლუციამ საფრანგეთის ერის ცხოვრებაში შეიტანა დიდი ცვლილება, დიდი წარმატება. მან შეანჯღრია კაცის დახავსებული გონება და მით განაახლა ბევრი რამ ახალის ცხოვრების აღორძინებისათვის. მან ბევრის სამაგალითოს თვისებით მორთო კაცის გონება, გაუბედავს, დამონებულის და ღირსება წართმეულ კაცს მძლავრის ჭექაქუხილით ამცნია ქვეყნის ბოროტების დასაწყისის მნიშვნელობა, მისი უსამართლო ძალა და ფესვები. ღაღადჰყო ამ უსამართლოების ძირიან-ფესვიანად დამხობა, გადაბრუნება და მოსპობა ყოველივე მის, რაც კი კაცის ადამიანურს ცხოვრებას და პიროვნებას ლახავდა შეუწყალოდ. დიდმა რევოლუციამ და მისმა მეთაურთ და მომქმედთ მთელს ერს მიანიჭეს თავისუფლად მსჯელობის და ჰაზროვნების უფლება და ასე და ამ სახით საფრანგეთში ბევრი რამ მეცნიერულ სიმძლავრენი იქმნენ აღმართულნი პირველად.

პირველად აქ ამაღლდა თანასწორულ თავისუფლების შესახებ საუბარი და ეს აქვე აღორძინდა და მოიფინა მერმი-

სისათვის. თითქმის ყველა მოსაზრებას აქ მიეცა დასაწყისი. პირველად აქ მიანიჭეს მდაბალთა და მაღალთ ერთნაირი ღირსება, პირველად აქ გაიხსნა დაბალთათვის მეცნიერების დაკეტილი კარი, აქ აღზდგა მკვდრეთით დამონავებული გლეხკაცობა და პირველად აქ მიენიჭათ კაცური ღირსება, სიტყვის უფლება, ნება, გამგეობა, თავიანთ შრომის დაცვა და სხვანი, რომლებსაც უეჭვოთ ასაბუთებენ ისეთ პირთ მდაბიოთ განათლებულთ შვილებთ საზოგადო ასპარესზე მოღვაწეობის ცნობებიც, როგორიც იყო ფურიე.

თუმცა ეს პირი მაინც და მაინც დიდი ვინმე არ არის და შენიშნული მსწავლულ-მეცნიერი კაცი, მაგრამ რაც არის და რა ღირსებაც აქვს მას, ეს არის ჩვენთვის საჭირო და გაცნობა მის იმ თანასწორებრივი მოძღვრების დედა აზრების, რომლითაც ის თავ-გადადებით იცავდა დაბალ,-საწყალს, დამონებულ მშიერს ერს, იმ ერს, რომელსაც ამ სოფლად ყველაფერი წართმეული და დანატრულებული ჰქონდათ საფრანგეთში. ეს გამოჩენილი პირი დაიბადა საფრანგეთის ბეზანსონში ერთი წლით გვიან, ინგლისში რობერტ ოვენის დაბადებამდე.

ფურიე იყო საკმარისად მდიდარი ვაჭრის შვილი. ათის წლის იყო, როცა სასწავლებელში მისცეს. სწავლის დროს მასწავლებლებმა მას დიდი ნიჭი შეამჩნიეს. ამას ყველა ამჩნევდა აშკარად, რომ ეს ყმაწვილი რაღაც საუცხოვო ნიჭის მქონე არისო. 12 წლის ბავშვი სასწავლებლიდგან მამამ გაიყვანა და ერთ ვაჭარს მიაბარა შეგირდად, რომ აქ ვაჭრობა და ანგარიში შეესწავლა. სწავლობდა ანგარიშს, ვაჭრობას და იმავე დროს იგი ვითარდებოდა სხვადასხვა სამეცნიერო წიგნების კითხვაში; მან დიდათ შეიყვარა მეთვრამეტე საუკუნის მოაზრე მწერლების ნაწერები; ამ ნაწერებმა მის გულში დიდი ადგილი მოიპოვეს; რამდენიმე ხნის შემდეგ ფურიეს საფრანგეთიდან გერმანიაში და სხვა სახელმწიფოებშიაც უხდებოდა სიარული. მან გერმანიაში გაიცნო ჰეგელის მეტაფისი-

კა, მისი მოძღვრება და ამ მოძღვრების მოწინააღმდეგე დასთ ბრძოლა, ფილოსოფიური პოლემიკა და კრიტიკა, გაიცნო ემანუელ კანტის აზრები, გაიცნო იმ დროის ყველა მეტაფიზიკებს ნაშრომნი, ბუნების მეცნიერების მიმდევრები, სამეცნიერო ცნობები, დრამატურგები, კრიტიკოსებთ-მენცელი და სხვა მწერლები. გერმანიის მწერლობის გაცნობის შემდეგ მალე გაიცნო აგრეთვე ინგლისის მწერლობაც, როგორც ძველი, ისევე ახალი ეკონომიური, პოლიტიკური და სიტყვა კაზმული თხზულებანი. ამის გონებას ისე ვერც ერთ ერის მწერლობის და რიგიანი ნაწერები ვერ დაეპატრონენ, როგორც საფრანგეთის მეთვრამეტე საუკუნის ხეირიან მწერლების ნაწერები, ნამეტურ ენციკლოპედისტებმა: დიდრომ, დაალამბერმა, გოლბახმა და უმეტეს ჟანჟაკ რუსომ; ყველა ანათ მასზე დიდი ზედგავლენა იქონიეს, ამა მწერალთა ნაწერებმა აღზარ-

დეს იგი, ეს ნაწერები გახდა მის სკოლად და მასწავლებლად. ფურიე ამ პირების მთაყვანებელ მღაღადებლად შეიქმნა.

ოც-და-ორის წლის კაცს მამა მოუკვდა და სიმდიდრე ამას დარჩა. ამ სიმდიდრით ფურიემ თავისთვის გააღო საკუთარი სავაჭრო და ვაჭრობა დაიწყო, მაგრამ ამის ვაჭრობა მალე მოისპო, რადგან რევოლიუცია მოხდა და მისგან აოხრებულ-ანიავებული იქმნა. რევოლიუციის დროს ციხეშიაც ჩავარდა, დაპატიმრებული იყო დიდხანს. განთავისუფლების შემდეგ ეს ცარიელი დარჩა, ამიტომ მას ბევრი გაჭირების გამოცდა მოუხდა, სხვასთან დადგა საქმეზედ. რევოლიუციის შესახებ ერთობ ცუდი შეხედულება გამოიტანა ციხიდგან. ამ შემთხვევას განათლების მეოხებას აწერდა. საზოგადოთ მას განათლება (ცივილიზაცია) რაღაც მავნებლობის შხამის სათავედ მიაჩნდა უწყიან, რომ მაზედ ნათელი შეხედულება არ ჰქონდაო. რევალიუცია სულ ამ განათლების მაძიებელთ ბრალიაო. განათლებით სარგებლობენ მხოლოდ მდიდართ მოქალაქე ვაჭრები და თავად-აზნაურები. ესენი ხელმძღვანელობენ მხოლოდ, ესენი იცავენ თავიანთ ძალას მიწების სა-

შუალებით, დამონებით. ამით ისინი სთესენ სიღატაკეს, მათხოვრობას, შიმშილს და ათას-ნაირს დაღუპვას. ესენი ამ ცრუ განათლების მეოხებით ხშირად ხალხსაც ატყუებენ, ჰხიბლავენ და ამდაბლებენო. ყველა მეცნიერებაზედ უმაღლესად დღეს საუბედუროდ მხოლოდ სამხედრო მეცნაერება დღესასწაულობსო.

ეს არის ნაყოფი ცივილიზაციისაო. ამის მეოხებით, კაცი ყოველგვარ ბოროტებას სჩადის, იგი ბუნების ყოველნაირს სამკაულებას სცელავს, ლახავს და კაცს ანატრულებს მისგან სარგებელს. ამას პირუტყვებიც-კი არ ჰჩადიან. ბუნების სიმდიდრის თანახმად პირუტყვნი თავიანთის მიხვედრის და ნდობას კვალობაზედ კაცზედ უფრო ყველაფერს იკეთებენო, კაცი კი, ეს ყოვლად სვიანი, ძლიერი, მეფე კი მოკლებულია ბევრს ამისთანა საჩუქრების მიღებას და იგი ხშირად უსიხარულოდაც კვდება. ეს წინააღმდეგია თვით მღვთიურ ბუნებსა. ყალბი განათლება ბევრს საშუალებას აძლევს მანქან ეშმაკობისას. ჯერ-ჯერობით გაუნათლებლობის მეოხებით ასეთი ეშმაკობა უფრო წინ მიდის, ვიდრე კაცთ-მოყვარეობის აზრები და სიყვარულიო. განათლებულ კაცს კაცთ მოყვარეობა უნდა ჰქონდეს მიზნად გამხდარიო, იგი ამას უნდა ეძიებდეს და სთესავდეს ერში მერმისათვის დასათესად, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვხედავთ, საწყალ ერს ახლოსაც არ ეკარებიან. უმეტესი ნაწილი საწყალი ხალხისა გაღატაკებულია, გაქეციანებული სცხოვრებს. სცხოვრება ილაჯი გაწყვეტილი აქვს. სული ამორთმეული და მთლად შეჭმული. აბა მიიხედ-მოიხედეთ მარჯვნივ და მარცხნივ, რამდენი ცრემლი იღვრება და ხალხი იხოცება სიღატაკის მეოხებით. თქვენ თუ ჰუმანიური გული გაქვსთ, მაშინ ამას კარგად შენიშნავთ და

გაოცდებით დიდად! ვინც ამას ვერ დაინახავს, მისი განათ-
ლებაც ტყუილია, ფილოსოფია და მორალიცაო. განათლე
ბა ამას უნდა გრძნობდესო.

მეთვრამეტე საუკუნის – საფრანგეთის მშრომელ ერის

ნაწილს ლუკმა პურის მოპოვების გამო მეტად დიდი შავი და
ბნელი დღეები დაუდგა თავისს ბატონიშვილების, თავად აზნა-
ურების და სხვათა მეოხებით. ხსენებულ პირებს თავიანთ
წარმომადგენელ-მეცნიერ მსწავლული კაცებიც ჰყავდათ,
თავიანთი გაზეთები, ჟურნალები და წიგნები, მართველობა
ამათ მფარველობდა, ესენიც მართველობას ეხმარებოდნენ,
ამათვე ეკედლებოდნენ ბერ-მონოზნები და სამღვდელოება.
ყველა ესენი შეერთებულიყვნენ ერთად, რადგანაც ამათ კარ-
გად იცოდნენო, რომ ცალცალკე ვერას გააწყობდნენ და
ერთად კი ყოველთვის ისე იმყოფებოდნენ, როგორც მეფობ-
დნენ. საფრანგეთის ხალხს ესენი ერთმანეთის პატივისცემას
უქადაგებდნენ, მაგალითად: მეფენი და ბატონიშვილნი სამ-
ღვდელო პირზე დიდ ქებას ასმენდნენ ხალხს, ესენი არიან
ჩვენი წინამძღოლნიო, ქრისტეს მოადგილენიო. კეთილშობი-
ლნიც მათი უმცროსი ძმები არიან, ხელქვევითნი.

სამღვდელონიც ამ ბატონიშვილებს ქვეყნიურ ღმერთე-
ბად აცხადებდნენ და ყველა კაცის პატრონად და მფლობელად.
ამათ ასეთის ჰაზრების აღორძინება ერთობ ადრე დაიწყეს,
მეთვრამეტე საუკუნეში იქამდე მივიდნენ, ისე გაძლიერდნენ
და ამ სიმძლავრით ისე შებოჭეს მშრომელი ხალხი, რომ ამ
ერს ხალხის ცხოვრების აღარაფერი ემჩნეოდათ, ქალაქის
მცოვრებ მუშათ და ხელოსანთ ღარიბებ პროლეტარ ბოგა-
ნოთაგან ასობით და ათასობით მათხოვრებათ დადიოდნენ და
ცოლშვილი შიმშილით ეხოცებოდათ! ასეთსავე მდგომარეობა-
ში იყო ჩავარდნილი სოფლის გლეხთა უმეტესი ნაწილიც.
ამათი ყოფა ცხოვრება ერთს საცოდავს სურათს წარმოადგენ-
და.

პურიო! პურიო! გაისმოდა ყოველ მხრიდან – პატარა ბავ-
შვების კივილი. მათი საქმე იქამდის მივიდა, რომ ესენი ხში-
რად უსახლობის გამო ზამთარში სიცივისაგან ქუჩაში იხოცე-
ბოდნენ, ერთის სიტყვით მთელი საფრანგეთი ერთ თავ-ზარ
დასაცემ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი და ამ სამწუხარო

მდგომარეობას მათ ის უფრო უორკეცებდა და უძლიერებდა,
რადგანაც აქ ყველაფერი მაღალწოდების უსამართლობის ფეხ
ქვეშ იყო ჩავარდნილი და გადახული.

ესენი მდაბიო პირებს ისე უმზერდნენ, როგორც უგრძ-
ნობნელ ნივთს. მათის ფიქრით ამ საწყლებისათვის არაფერი
იყო საჭირო, გარდა მონებისა, ჩაგვრის, უვიც მდგომარეობა-
ში დარჩენა და სხვანი. ყველაფერი მაღალ-წოდების საკუთ-

რებას შეადგენდა, ყველაფერი მათთვის იყო საჭირო; ამ აზ-
რის იყო მეფე, გრაფი, მდიდარი, მღვდელი, ბერი. აი ამის-
თანა დროს საფრანგეთში მთელი გუნდი დაიბადა ისეთის
უდიდეს მწერალ პირებისა, რომლებმაც ბევრი რამ შესანიშ-
ნავი საქმეები ააღორძინეს ერში და ბევრს გაქვავებულს
მდიდარ პირს მოულბეს გული და პატიოსნების მონათ გახა-
დეს. ერთს ასეთს პატიოსნების პირად რევოლიუციის შემდეგ
ციხიდან გამოსული ფურიე შეიქმნა, რომელსაც თუმცა დი-
დი რეფორმატორობა არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ მას თვის
დროს კვალად ჩვენგან ზემოთ გაკვრით აღწერილის ერის
ცხოვრება ისე კარგად შეისწავლა, ისე ზედმიწევნით რომ მის
არად მიღება არ შეიძლება; ამაებს გარდა იგი დიდი პატი-
ვის მცემელი იყო მონტესკიეს აზრებისა, რადგან მონ-
ტესკიე სახელმწიფოს ვალად სდებდა, რომ მან ღატაკს
ერს უნდა უპატრონოს და შიმშილით დახოცვისაგან და-
იხსნასო.

ესევე პატივს სცემდა კინდროსეს და კიდევ მრავალთაც
სხვებს, რომელთაც იმ დროის ერის სიღატაკეზე რამე სთქვეს
და საზოგადოთ გამოუქვეყნებიათ თვის აზრები. საწყალი ერის
სიღატაკის ცნობები ფურიეს ტანში ჟრუანტელივით უვლი-
და, ამ სოფლის ყველაფერს დიდის ზიზღით და გმობით უმ-
ზერდა. იმ დროებში – მას შაეთვისა დიდი და წარმოუდგენე-
ლი მტრობა უსამართლობის, ვაჭრობის, უკანონო აღებ-მიცე-
მობაზედ და მრეწველობაზე. ამის ზიზღისთვის მას ბევრი სა-
ფუძველიც ჰქონდა. ეს ხედავდა კარგად, რომ უმეტესი ნაწილი

საწყალი ერისა დაჩაგრული და დამდაბლებული იყო ასეთ
არა კანონიერ საქმეებისგან. ეს მიეცა სხვა-და-სხვა ჰაზრების
ნათლად შეთვისებას – გარკვევას და გაგებას იმის, თუ საწყა-
ლი ხალხი რომლის კანონ მდებლობის ძალით და კაცთ მოყვა-
რეობის მეოხებით იღუპებოდნენ! ეს რათ არის ასე, ვისთვის
არის მოსაწონი, რათ არსებობს ასეთი უკუღმართობა, რომ
უმეტესი ნაწილი ერისა უსამართლო აღებ-მიცემობისაგან იღუ-
პება, ნამეტურ მშრომელი ერი. ეს დღე-ღამ შრომობს და
დღე ღამ-კი მაინც მშიერია და ვერ გამაძღარა?

ამ აზრებით გატაცებულმა ფურიემ მწერლობისათვის და-
იწყო მომზადება. ამან დაიწყო სხვა და სხვა პროეკტების
შედგენა და გამოქვეყნება, და ღაღადება მის გამო, რომ სა-
წყალი ხალხისთვის რამე ასოციაციები დაეარსებინათ და მის
მეოხებით იგინი დაეხსნათ უწყალოს სიღატაკის ტანჯვა-წვა-
ლებისაგან. ამის შესახებ პირველი თხზულება გამოსცა 1808
წელს. ამ წიგნში საუბრობს სხვა და სხვა სოციალურ მხარე-
ზე, მრეწველობითზე, ადმინისტრატიულზედ და პოლიტიკურ
მხარეებზედ. ეს თხზულება იმ დროს შესანიშნავ მოვლენად
ჩაითვალა და მისი დამწერიც მიემატა იმ დროის შესანიშნავ
გვამთა დასს, რომელნიც საწყალ ხალხის ცხოვრების გაუმჯო-
ბესობისათვის შრომობდნენ და თავებსაც კი სდებდნენ სასი-

კვდილოთ, რომ ოღონდ ამით კი საწყალ მშრომელ ხალხი-
სთვის რამე უფლებითი მხარეები მოეპოვებინათ, ამათაც მი-
ნიჭებოდათ კაცური ცხოვრება და თავიანთ სამწუხარო და სა-
ტირალის მდგომარეობიდგანაც გამოსულიყვნენ.

სენ-სიმონის მოძღვრების დედა აზრების უკანვრდომის
შემდეგ თანასწორების და ძმობის სიყვარულის გავრცელების
ასპარეზზე ფურიე გამოვიდა. ამან დასწერა ძლიერ ბევრი სხვა
და სხვა თხზულებანი, რომლითაც იგი კაცთა ცხოვრების
უთანასწორობას კი არ მუსრავდა, არამედ ეს ითხოვდა დახ-
მარებას, რომ მდიდრებს ამისათვის დახმარება აღმოეჩინათ და
ამ საშუალებით მასაც თავისი წესების თანახმად ხალხის შე-

სახებ საქმეები განეხორციელებინა. ამის მოვალეა ყველაო;
მოვალეა, რომ სახელმწიფო პატრონობდეს და უვლიდეს ამ
საწყლების საქმეებსაო. რადგანაც ესენი არა ჰპატრონებენ,
მაშინ ჩვენ მაინც უპატრონოთო. მდიდრებმა მაინც მიხედონ
ამათ ყოფა მდგომარეობას და დახმარება აღმოუჩინონ, კაცო-
ბრიობის პატივსცემა და ღირსება ამას მოითხოვსო.

კაცთ მოყვარეობა თუ არ გვექმნა, უამისოთ ყველაფერი
უბრალოა, მაცხოვარმა ეს დაგვიტოვა მცნებაო, ამისთვის
აწამეს იგი, ამისთვის მოკლეს იგი, ჩვენ კი ამ აზრების წი-
ნააღმდეგ ვიქცევით. ეს არ შეგვეფერება ჩვენ, მსწავლულნი
და განვითარებულნი ათას ნაირ სამეცნიერო და საფილოსო-
ფოსო კითხვების შემუშავებას ვეძლევით, ნათელს განვითარე-
ბას ვაძლევთ, ვაღორძინებთ, ვწერთ კიდევ ბევრ ხელოვნურ
თხზულებებს და ამით გვინდა, რომ სხვათა ყურადღება მივიპყ-
რათ თვისკენ, მკითხველის გული და გრძნობა დავატკბოთ და
ის კი დაგვიწყებია, თავიდამ გაგვცვლიან და არაფერსა ვგრძნობთ,
რომ ჩვენ გვერდით, ჩვენ ცხვირ წინ, ჩვენივე მსგავსი ძმები
შიმშილით გვიკვდებიან და მათთვის კი პატრონობა არ გვინ-
და, ჩვენს უდიდეს ცოდვათ უნდა , რომ ჩვენ საწყალი
ხალხის სასარგებლოდ არ ვცდილობთ და არ ვმეცადინობთ;
ჩვენ არ ვცდილობთ, რომ ამათი პატივისცემა და სიყვარული
პატარაობითვე შევისწავლოთ და შევითვისოთ გონებაში. ამის
მოვალეა ყოველი ჩვენთაგანი.

მეორე თხზულება ფურიემ გამოსცა 1821 წ. ამაში იგი
ასოციაცების მნიშვნელობაზედ საუბრობს და უჩვენებს იმასაც,
თუ მისის წესდების თანახმათ დაარსებულის ასოციაცების სა-
შუალებით კაცობრიობა რა საუცხოვო შედეგს მიაღწევსო.
თუმცა ბევრნი უნდოთ უმზერდნენ და ამის მოძღვრებას დას-
ცინოდნენ, მაგრამ ეს გულს არ იტეხდა. „გლახაობა და მათ-
ხოვრობა წინ არის წასულიო, საწყალ ხალხს ხშირად ხარჯის
გამო აპატიმრებენ, აწუხებენო. ესენი კიდევ ვინ იცის რაებს
არ სჩადიან, შვილებსაც კი ჰყიდიან და იქიდან ანაღები ფუ-

ლითაც ვერას აწყობენ, ბოლოს მაინც გლახავდებიანო და ნუ თუ ამაზე საუბარი დასარიდებელი უნდა იყოსო". ნუ თუ კაცობრიობის გონებითი მსჯელობისათვის ეს სენი არ კმარა და ამის წინააღმდეგ ღწვაო?!

შემდეგ ამის, 1829 წ. გამოსცა ერთი შესანიშნავი შრომა, რომელ შრომაშიაც ფურიე გულ-მდუღრად იცავდა ცხოვრებას ღარიბებისას და ყველა პირისთვის სავალდებულოდ სთვლის, რომ მან სიღარიბის წინააღმდეგ იმოქმედოსო. ეს ბრძოლა გახდება ღარიბების დახმარებად და მფარველადო. ამის ნაწერი და დედა აზრები დღითი-დღე წინ მიდიოდნენ, იგინი ბევრის გულში იჩენდენ ბინასა და ბევრის გულში აფართოვებენ წმინდა გრძნობას, სუფთა გონებას, ღარიბ-ღა ტაკ ძმის დახმარებას და ცხოვრებით განკაცებას, მათ განვითარებას, კაცად ქცევებს და სხვანი. მათხოვრების დახმარების გამო მას შენიშნეს, რომ ფურიეს დიდი მოსაზრება არ ჰქონდაო, იგი სიღარიბეს ებრძოდა და ამავე დროს მის გავრცელებასაც ხელს უწყობდაო. მისი მოძღვრება, – ისე მოსპობას ვერ დაეხმარება, როგორც გავრცელებასაო, მაგრამ მაინც იგი პატივსაცემია, რადგანაც მის წერილებს მკაცრად ფლობენ მე-XVIII საუკუნის მეცნიერთა და ფილოსოფოსთ ჰაზრებიო. სიღატაკის მოსპობის შესახებ შესანიშნავი მასალები და კითხვები აქვს აღძრულიო, თუმცა წერაში კი ვერ იყო დახელოვნებული ოსტატი, იგი სწერდა მეტათ გაცხარებით, მეტად მღელვარებაში მყოფი, მიტომ ხშირად წერის კანონებსაც არღვევდა, ვერც ოსტატურად ეხებოდა და ჰკინძავდა ცნობებსაო, ვერც ხელოვნურად ეკიდებოდა წერასაო. ჰაზრებიც ხშირათ მის ნაწერებში არევ-დარევით იყვნენ განმარიტებულნი და ამიტომ ბევრის წინაშე მისი წიგნები ძაგების და გმობის ღირსადა ხდებოდენ, ნამეტურ ზოგიერთის მეცნიერ პროფესორების წინაშეო.

მაგრამ კაბინეთურ პროფესორებს არ შეჰფეროდათ ესაო; ესენი თავიანთ კაბინეთურ შრომას ჭიების და ძაღლ-ღორების ცხოვრებათა აღწერას ანდომებდნენო. „ამათ ღარიბთა

შესახებ მოსაზრებაც არ ჰქონდათო. ფურიე-კი იქამდის გატაცებული იყო და სულსწრაფი ღარიბების ძმა. იგი ღარიბთა სიღარიბის გამო ყოველივეს ივიწყებდა, ამიტომ სიჩქარის გამო იგი გასაკიცხი არას დროს არ იქნებაო. საქმე საგანზედ ჭეშმარიტი მსჯელობა არისო და არა ის, თუ სიტყვები და წინადადებები როგორის კილოთია ხმარებულიო. ამის სიფრხილეში ბევრნი ბრძანდებიანო, იგინი კარგად სწერენო, მაგრამ მათი ნაწერი კი გროშათ არ ღირს შინაარსის გამო. პროფესორები უფრო იმიტომ ჰკიცხავდნენ და დასცინოდნენ ფურიეს, რადგანაც ერთს თხუზულებიში იგი დარწმუნებით სწერს, რომ მთელი დედა-მიწა ამდენ ათას წელიწადს გასძლებსო, წელთა რიცხვსაც უჩვენებს: ამდენი წელიწადი განათლების გზაზედ იდგებაო, ამდენი წელიწადი უმოძრაოდ და

უკანასკნელ 20,000 წ. განმავლობაში კი დაცემას და დამხობას მიეცემაო. შემდეგ ისევ განახლდება ყოველიფერიო. მიზეზი ეს გახლდათ კიცხვის, მაგრამ ვიტყით იმასაც, რომ ეს გამოჩინება უბრალო რამე განჩინებას კი არ შეადგენდა, არამედ მრავალნაირად გარჩეულს, გარკვეულს, ყველა მეცნიერებასთან შეწონილ-შედარებულს და მერე გამოცხადებულს. კერის სიტყვით *) მალტუსმა უფრო ბევრი რამ წარმოსთქვა კაცობრიობის შესახებ როგორც საოხუნჯო, ისევე საგმობიც, მაგრამ მას კი არავინ გმობს. ეს განსაზღვრა მის უბრალო ლითონის სიტყვის მექონი განსაზღვრა არ არის. იგი დაფუძნებულია გეოლოგიურს სწავლაზე, ბუნებით მეცნიერებაზე, ვარსკვლავთ მრიცხველობაზე, სტატისტიკაზედ და ნამეტურ ქიმურს მეცნიერებაზედ, ღრმად, რაც განათლებულს კაცს ძლიერ აკვირვებსო. მის ნაწერებთა რიცხვში ბევრი ისეთი ღირს შესანიშნავი ჰაზრები და მსჯელობანი იპოვება, რომლებიც ფურიეს და მის ნაწერებს არამც თუ საყურადღებოდ ხდის ჩვენს თვალშიო, არამედ იგი დიდათ შესანიშ-

*) Очерки социальныхъ наукъ соч. Кери.

ნავიც არის და რომ ითქვას, დიდი ღირსების მექონიცო.

აბა გაისინჯოს ეს კაცი თავის მოძღვრებით თავის დროის კვალად და თქვენ დარწმუნდებით ამის ღირსებაზედაო.

ფურიეს გონებას მე-XVIII საუკუნის საფრანგეთის მწერლებმა თავიანთი მოძღვრების მტკიცე ბეჭედი დაასვეს, ეს შვილია მათი. ამის ნატვრაც ეს იყო, მათის მეოხებით იგი განვითარდა, გონებით წავიდა წინ, თვისებით, ნდობით და ზნეობით, იგი განშორდა ძველ რწმუნებას, სარწმუნოების ბნელს დედა ჰაზრებს, პოლიტიკურის სახელის შეძენით ამაღლებას, მათ მაგიერ მან ჩაიწერა გულში დაჩაგრული ერის სიყვარულით მათი პატივისცემა და მათ სასარგებლოდ სამსახური ყველგან და ყველაფერში. ამას თავის განვითარებით და საზოგადო მეცნიერების დახმარებით სურდა, რომ კაცობრიობის ყველანაირი უწესოებას თვისი დაარსებიდან შეხებიყო და ისე გაერჩია, ისე აეწონ-დაწონა, თუ ის როგორ გამგზავრდა, როგორ წავიდა წინ და შემდეგ დროთა ცხოვრებისთვის რაგვარი ცვლილება მიიღო, როგორც მავნებლობის მხრით, ისე კარგისო. ფურიე როცა კი ეხებოდა ამ კითხვებს და არჩევდა რამეს, მას ყოველთვის ბევრნაირი სულის შემაძრწუნებელი სურათები ეჩხირებოდნენ თვალ წინ. ეს უკმაყოფილო ხდებოდა მისგან, მწუხარებით იწყებდა წერას, მსჯელობას, საუბარს მის შესახებ და ყოველის მოსაზრების შემდეგ კაცობრიობის ცხოვრების შესახებ თვის დასკვნას ადგენდა.

შესანიშნავია ფურიე მით უფრო, რომ ყოველს ამის მოსაზრების შედეგს თუ დასკვნას მეცნიერების დიდი ბეჭედი ასვია. კაცი განცვიფრდება მის უღრმეს განჭვრეტასა და მო-

საზრებაზედ. ეს მტერია თვით განათლების. მას სძაგს თვით მსწავლულებიც, მაგრამ თუ ყველა ამაებს თანასწორულ მეცნიერების მდიდარი მორჩილება ექნებათ, თუ ესენი იქნებიან ჰუმანურ მეცნიერებით გარემოცულნი და მის მეოხებით წარმომადგენელნი, მაშინკი მას იგი არ სძულს, იგი ყველაფრის

მორჩილია, იგი პატივს სცემს, მაშინ კი ყველაფერი იქნეს, დაინგრეს და დაიქცეს, თუ კი მეცნიერების ბრძანება ექმნება მას და მომავალშიაც ხეირიანი წესები მოჰყვებაო. ფურიე დიდათ უარს ჰყოფდა გვაროვნობით გარჩევას. ამას და იმის მოწაფე კონსინდერანს დიდათ სძაგდათ მაშინდელი ცივილიზაცია, რომლითაც მხოლოდ მდიდრები ხელმძღვანელობენ და ქვეყანას ატყუებენო. ასეთი ცივილიზაცია ფარხმალია გვაროვნობათა პატივისმცემლებისო. ასეთი უჯერო სწავლა სჯობს რომ ძირიანათ ამოვარდესო. ესენი დიდი მომხრენი იყვნენ უდიდესის ძმურის სიყვარულის და მშვიდობიანობის განვითარების, ყველაფერი მშვიდობიანობის სიყვარულის ცვლილებით უნდა მოხდესო. წინააღმდეგ იყვნენ რევოლიუციის მოძრაობისა. ესენი იცავდნენ ყოველნაირ მმართველობას, რომელიც კი ხალხს ხეირიან მართვას დაუწყებს, მაგრამ ესენი ბევრის მწერლებისაგან კონსერვატორ-დემოკრატებათაც იყვნენ ხმობილნი შემდეგ დროს. ფურიეს ნამოწაფარი კონსიდერანი გახდა დიდებული მეტყველი და კარლ მარქსის წინა მორბედი 1835 წ. კომუნისტური მანიფესტის გამომქვეყნებელი. კონსინდერანი, როგორც მოწაფე ფურიესი, მომავალში აღმოჩნდა მეტად დიდი გონების და მხედველობის პირად ეკონომიურს მოძრაობის ასპარეზზედ. მრავალთაგან, სადაც იხსენება მარქსი, იქ ამას და ამის-მოძღვრებასაც მოიხსენებენ.

ფურიეს ამ სოფლის სულით მდაბალი საზოგადოების შესახებ ცუდი შეხედულება ჰქონდა. იგი ამათ ასე უმზერდა და ეხებოდა: „საზოგადოდ კაცობრიობა თავის ცხოვრებაში საიდუმლოთ თუ აშკარის მეცადინეობით წმინდა ბარბაროსულს მოქმედებას წარმოადგენს. ამის დასამტკიცებლად კმარა გავიხსენოთ მუდმივი ომები და ხალხის ჟლეტა ერთის გვარისაგან მეორისაო“. ყოველს მხარეს თითქმის სწავლა მეცნიერებასაც ჰფლობს და აფერხებს მძიმე მონება: აქ ყველაფერი სრულს ყურთა გლეჯაზეა დამოკიდებული და ჩამოტვირთული, ყოველი პირი

იმას მეცადინეობს და მოქმედობს, რომ მან ისარგებლოს დიდათ, მან შეიძინოს, მან შებოჭოს სიმდიდრე სხვათ სავნებლად და გასაწყალებლად. ასეთი პირნი გაველურებულნი არიან, ამათ გონებას, თვისებას და სინიდისს მხოლოდ ბოროტება გახდენიათ ახსარებათ.

ასეთ პირებს სიზმარშიაც-კი ის აგონდებათ სასახელოდ, –

თუ სად ვის როგორ დაეცენ, როგორ აანიავონ და აიკლონ. ყველა თავის კანისთვის იბრძვის, თავის ჯიბისთვის და მიტომაც ეს ხშირად ერთმანეთის სამტროდაც იბადება. ყოველს ერში და ხალხში აშკარად სჩანს ის, თუ ერთი დასი როგორ მეცადინეობს თავისავე მგზავსის დასის საწინააღმდეგოთ და დასაღუპათ. თუ ფუძნდება რამე ამხანაგობა, ესეც იმ ოცნებით, რომ ესენი ვისმეს დაეცნენ, აიკლონ, აღგაონ, და ბოლოს მათის ცხოვრებით იდღესასწაულონო. ესენი მართვენ ომებს, იერიშით ნავარდობას და მხოლოდ ამაში ჰხედავენ ცხოვრების სახსარს. ყოველს სამწუხარო მოვლენას და დაღუპვას დიდი მნიშვნელობა აქვს, საზოგადო წესწყობილებასთან. ყოველ კანონმდებლის ნატვრას ის შეადგენს, რომ მან დავა და შფოთები ასტეხოს უდიდეს შემლების მექონ მემამულეებში, მის საშუალებით გაჩაღდეს სამმართველოების გარჩევა და მით მან იხელმძღვანელოს.

აქ მკურნალს სურს თავის ავათმყოფისთვის ციება და კუჭის ტკივილი და ამ გვარები, რომ ავათმყოფის სატკივარი დიდხანს გასტანს, ეს სატკივრება მალე ვერ რჩება და ამითი ექიმი იხელმძღვანელებს, მეტი ფული აიღოს. მხედარს სურს ძალიან გაცხარებული ომები, სადაც კვამლი ცას უწევდეს, თუნდა მის ამხანაგები სულაც გასწყდნენ მის მეოხებით, ოღონდ მას კი ეშველოს რამე, ოღონდ მან კი მიიღოს ჩინები და ტემლიაკები, ფული და სხვანი; მღვდელს სურს, რომ რაც შეიძლება უფრო მდიდარნი გარდაიცვალნენ რომ დასაფლავებაში მან 1000 ფრანკობით მიიღოს; მოსამსახურეს სურს, რომ საფრანგეთში მთელი რიგი დამნაშაობა ხდებოდეს. ჩარ-

ჩი ნატრობს დიდს შიმშილობას, რომ მის მეოხებით პურის მაზანდამ აიწიოს; მეღვინესაც ყურძნის მოკრეფის დროს სეტყვა სურს და ვაზის კოკრის გამობმის დროს ყინვები; ასევე არხიტეკტორს და ხურო, კალატოზს სურს კარგი ცეცხლის წაკიდება, რომელმაც ფერფლათ უნდა აქციოს ასის და ორასის სახლი, რომ მის საშუალებით მათ საქმე გაუჩნდეთ. ესევე ეხება კარგათ ჩარჩობას და კოტრობას მრეწველობაში და მის შემდეგ თვით სახელმწიფო წესწყობილებასაც.

ოცი კაცის ნაცვლად ხშირად ასს კაცს ვაბანდებთ სოფლის მცხოვრებთათვის. საჭიროა ერთი რამისთვის ხშირად ერთი კაცის გაგზავნა სადმე სავაჭროდ, ერთი კაცის მაგიერ ემგზავრება ქალაქს ათი კაცი, რომ იქ იყიდოს, ან გაყიდოს რამე ანუ ხორაგი იყიდონ და მოიტანონ შინ იმ დროს, როცა ყველა ამაების ყიდვა ერთ კაცს შეეძლებოდა, დანარჩენნი კი სხვა საფასო საქმეზედ იქნებოდნენ. რამდენი სოფლის კაცი მთელი კვირა წანწალებს აქეთ-იქით და ერთი ძროხა დაჰყავს, რომ ეგები გაყიდოს ამას რამდენი დუქანში ღამე გათენება და ფულის ხარჯვა უხდება უბედურად. რამდენი კიდევ სხვანი წანწალებენ და ასე ატარებენ თავიანთ ნაწარმოებს დუქან-დუქან გასაყიდათ, მაგრამ ესენი ამით ვერას იგე-

ბენ. რის წვალებით ყველაფერს ჰყიდიან ძლიერ მცირე ფასად, რადგან ყველგან ჩარჩი ხვდებათ მათ და თავისუფალი კონკურენცია, რაც ამრავლებს ჩარჩების რიცხვს. ხშირად თვით ჩარჩებიც იღუპებიან ერთმანეთის გამრავლებით; იღუპება მალე ის, ვინც უფრო მდიდარი არ არის.

ამას დიდათ აკვირვებს და აღელვებს ბერბის საქმე ისპანნიაში, სადაც ნახევარ მილიონზე მეტი ბურებია. ესენი რომ სამუშაოდ საქმეზედ იყვნენ, მაშინ ხომ იგინი დიდძალ ნაყოფს მოიყვანენო. ვსთქვათ ერთს ქალაქში 50 ვაჭარია და ესენი 100 ფუთს შაქარს ჰყიდიან, მაგრამ 50 დუქანი 100 გადაიქცა და შაქარი კი ყველა ამათში მაინც ასი ფუთი იყიდება და ისევე სხვა ხორაგი, საქონელიც ერთი და იგივე.

თუნდ აქ 50 კაცს გაუყიდნია 100 ფუთი შაქარი და გინდ 100 კაცს, თუ კი ამათ საკმარისი ვაჭრობა არ ექნებათ და ერთმანეთს დანთქამენ. ასეთ ვაჭრებში და პირობებში კაცი ყოველთვის ვაჭრობის დავარდნას ისმენს, ესენი ამით სცდებიან, ეს ბოროტება არის, ესენი ვაჭრობის დავარდნაზე კი არ უნდა საუბრობდნენ და ნატრობდნენ, არამედ რიგიან სავაჭრო წესწყობილებაზე მართველ პირებთ რიგიან ცხოვრებაზედ, პატიოსნურს ყოფა ცხოვრებაზე. ერთი გაკოტრდეს, დაიღუპოს, დაგლახაკდეს, ცოლშვილი მშიერი დაეხოცოს, მეორე გამდიდრდეს და აშენდეს, ეს სამართალია! ეს რა მანქანება არის, ეს რათ უნდა მოხდეს ჩვენს შორის. ნუ თუ ყველაფერი ჩვენ ხელთ არ არის, ყველაფერი ჩვენ არ გვიკავია ხელში, მაგრამ ამაზე არავინ ზრუნავს, ყოველს ვაჭარს თავისი მეზობელ ვაჭრის ზიზღი, შური და მტრობა სიზმარშიაც კი ელანდება.

ამ პირს თუ პატარა შეძლებაც აქვს, მაშინ თვითონ იცის ეს მღვთის მოყვარეს, ძე ქრისტეს ვენახისა, უკანასკნელ თავის კონკურენციას მოჰკიდებს ხელს და მის მეოხებით გააქრობს საწყალს ვაჭარს; ამას მაგალითი ამტკიცებს: ორი მეურმე ერთმანეთს გადაეკიდნენ, ერთმა ისე დააყენა საქმე, რომ ხალხი მუქთათ დაყავდა, მეორემაც ისევე ჰქმნა. – ხალხი ფიქრობდა, რომ ესენი მალე თავიანთ მეზობლებს პურსაც აჭმევენ მუქთათ; ამათ ასეთი მოქმედებით ორივემ დაითხარეს თვალები, რადგანაც ორივეს ხვდათ ნაწყვეტი. ასევე მოუვიდა ორს გემის პატრონთ, რომლებსაც ერთმანეთის გაჯავრებით ხალხი მუქთათ გადაჰყავდათ. ერთმა მუზიკაც გაიჩინა, საჭმლითაც კი ეხმარებოდა მგზავრებს მიტომ, რომ თავის მეზობელი დაეღუპა.

საბრალო ბოგანო ერი ბარბაროსობის საკუთრებას შეადგენს, ესენი მსხვერპლი არიან ასეთ კონკურენციის, მსხვერპლნი არიან ვაჭრების და თავად-აზნაურობის ჟლეტა-წყვეტის. ყველა ამათის შრომით ცხოვრებს, ყველა ამათის სიღატაკით,

უძლურებით და უმეცრებით სარგებლობს, თუ არა და რომელის
კანონების ძალით არ ეძლევათ ამათ თავიანთ შრომა, უფლე-
ბა და გამგეობა. ყველას ვალს ეს უნდა შეადგენდეს, რომ
ამ საწყლებს მოუპოვოთ დაცემული უფლება, მივანიჭოთ ქო-
ნებრივი თანასწორობა და ყოველს მათგანს მიენიჭოს და
მიეცეს თავის შესაფერი ბინა და ცხოვრების სახსარი. მაგრამ
ვინ? ვინ აძლევს ამ საწყლებს რამეს და ანიჭებს, არავინ!
ესენი რჩებიან ყველაფერს მოკლებულნი, ამათი ცხოვრება
ტანჯვის ცხოვრება არის, ხშირად წყევლა, შეჩვენება და
გმობაც კი განსვენებულს მშობლებს, თუ რათ დაგვბადეს ჩვენ,
თუ კი ასეთი ცხოვრება მოგველოდა, შემდეგაც ამათი შვილე-
ბის გამოზდაც ერთ საცოდაობას შეადგენს, ყოველთვის მში-
ვრები, ჩვრებში და ფალასებში გახვეულნი, არც რიგიანად
მოვლა, არც რიგიანი ჭამა-სმა, არც მუდმივი მშობლიური
პატრონობა, რადგანც მშობელთ მუშაობის გამო ხშირად არა
სცალიანთ და ამის გამო ყმაწვილებიც ხშირად ეხოცებათ,
იხოცებიან ასობით. ასევე უპატრონონი არიან მოხუცებულ-
ნი ავადმყოფობის დროს, საავადმყოფოები, საგლახაოები და
სხვა ასეთ სახლებსაც ვერაფერი სარგებლობა მოაქვსთ ამათ-
თვის, საწყლებს ვერაფერს ზედამხედველობას უწევენ, ესენი
მხოლოდ მდიდრების სიძუნწის დასაცველად არსებობენ ხალ-
ხის თვალში, რომ იგინი ანიავებულ არ იქმნენ ქუჩაში მომაკვ-
დავ საწყლების და დაჩაგრულებისაგან.

უნდა ვთქვათ, რომ სადაც ეს საწყლები იკრიბებიან,
ე. ი. საგლახოებში, რომ მაინცა და მაინც არც აქ არიან
კმაყოფილნი ესენი, სანათურიდამ ხედვენ, რომ მათ სამათ-
ხოვრო ფულის გროშებს ვიღაც მდიდრები აძლევენ, რომ-
ლებიც მშვენიერის ეკიპაჟებით დასეირნობენ, სიმდიდრით
ბრწყინავენ, რომლებსაც დაუჩემებიათ ყველაფერი. საწყლე-
ბი კანონის ძალით თუმცა სხვებთან თანასწორათ არიან
აღიარებულნი, მაგრამ მაინც იგინი ხშირათ შიმშილით იღუ-
პებიან და ბოლოს საგლახაოთ უხდებათ საქმე. საწყლების

უფლებას და თანასწორობას ის შეადგენს, რომ ესენი სიკვ-
დილის შემდეგ უნდა მდიდრების გვერდით დასაფლავდენ,
მდიდრებთან ერთათ უნდა დამიწდნენ. ესეთ უთანასწორო
დარსებობანი ბევრს უწესო საქმეებს ბადავს ერში და ამიტომ
მთავრობას ბევრი ციხეების და პატიმრების შენახვაც უნდე-
ბათ. ამისთვის მართველობა აჩენს ჯაშუშებს, მჩხრეკავებს,
მძებნელებს და სხვანი, რომლებზედაც დიდი ძალი ფული
იხარჯება, ყოველს ოჯახში ათასნაირი უწესო საქმეები ხდე-
ბა. ოჯახის წევრნი ხშირად ერთმანეთზე აღიწევიან, ცოლი
ქმარს სცემს, ქმარი ცოლს, შვილები მშობლებს, რომ ესე-
ნი ეგები მალე დაიხოცნენ, რომ მათგან რამე გროშები
დაშდეთ. ხშირათ თვით მშობლებიც ნატრობენ შვილების
სიკვდილს, რომ ეგები მათგან დარჩეს რამეო.

ამდენია ბოროტება და უსამართლობა ამ უთანასწორო-
ებიდგან, ამ უწესო სიღატაკისაგან! ამას კაცი ვერ აღნუ-
სხავს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ესეთი შემთხვევანი ყოველს
წუთებს ხდებიან აქა იქ ოჯახებში, ყველგან მეტის მეტი
მწარე ცრემლებიც უნდა იღვრებოდეს. ამაებს გარდა
რამდენ ალაგას რამდენ ნაირი სიმძულვარე არსდება ამ სიღა-
ტაკის მეოხებით, რამდენი ალაგას, რამდენ პირისაგან გმო-
ბა თვით თავის სიცოცხლისა, ნამეტან იმ დროს, როცა
ერთი ღატაკი კაცის ახალგაზდა ქალი გარყვნილს მდიდარ
პირზედ გათხოვილა, წაჰყოლია ამას მხოლოთ იმ მიზეზით,
რომ ერთ ლუკმა პურს მაჭმევსო. ახ ერთო ლუკმა პურო,
რომ შენის გულისათვის ხშირად კაცი თავის კაცობასაც
უარს ჰყოფს, სიყვარულს, გრძნობას, სიხარულს, სიამოვნე-
ბას და სხვანი, რომ ის მხოლოდ კუჭის სიმაძღრით გაბედნი-
ერდეს და სულიერად და გრძნობიერათ კი სიმდაბლე მიიღოს.
ეს ჰაზროვნებს, რომ რაც ხანი გადის და განვითარება
წინ მიდის, ამ განვითარების მეოხებით ისე სამუდამო ხეირია-
ნი წესება არ ფუძნდება, როგორც ხალხის არევ-დარევა, რა-
საც ერთნი აფუძნებენ, იმას მეორენი უარს-ჰყოფენ, მავ-

ნეთ სთვლიან მთელის ერისთვის და ანადგურებენ ამასო.

ცოტა რომ იქით წავიდეთ, მე კარგად დაგანახვებთ ჩვენ
პოლიტიკოსებთ პოლიტიკურს ელეგიასო. ეს გმირები ჩვენ
ვერაფერს გვშველიან, ასევე ემართება ფილოსოფოსსაო, რო-
მელიც თავის სამსჯელო ოთახს იქით ყველგან გამქრალიაო.
მქრალია იგი, მქრალია თვით მეცნიერებაც, რადგან მეცნიე-
რება ხშირად მყარდება პოლიტიკურ უწესოებაზედ, მისგან
კიდევ იფინება მონება, უთანასწორება და ავაზაკობაც. ამათის
მეოხებით ბევრი რამ იქნა შეგინებული და შეურაცხყოფილი,
ერთნი მეორეს ღუპავენ, ნთქამენ და ანადგურებენ. ესენი ისე
ჰგლეჯენ ერთმანეთს, როგორც პირუტყვები. ჭეშმარიტი საქმე
და მოსაზრება თვით წმიდა მქადაგებლებსაც-კი დავიწყებიათო.
მორალისტები და მღვთის მეტყველნი მზად არიან, რომ ქრი-
სტეს სახელის გულისთვის თვით ჯვარზედაც გაეკრან, მაგრამ
ესენი იმავე დროს ისე დაბრმავებულან, რომ აღარ იციან რა
ქმნან. ქრისტეს და ღვთის მეტის სიყვარულით ლამის ერთმა-
ნეთი დაჭამონ, ყოველ უბრალო დამნაშავესაც-კი არ სდებენ
პატივს თვით ქრისტეს მოძღვრების პატივის საცემლად და
მიწაზედ ანადგურებენ! რა სამღვთო.ს მეტყველნი უნდა ბძან-
დებოდნენ ეს სასულიერო სულის მამები, თუ-კი ესენი უკვდა-
ვად დაიცავენ სიღატაკეს, თუ-კი ესენი ხელს შეუწყობენ
მონებას, ნუ თუ ამ მიზეზის ღირსებას ეს შეადგენს, აქ სადა
სჩანს ქრისტეს მოძღვრების თანახმად თანასწორების ხასიათის
მექონი ძმობის დაარსების დედა აზრები.

აქ მათგან ყველაფერი სიცრუეს წარმოადგენს. ყველა-
ფერი თვალთმაქცობას, ყველაფერი უმეცრების დაცვას, უკა-
ნონობის გამეფებას და მძლავრისაგან იმ უძლურის ჩაყლაპვას,

რომელნიც დღიურად მუშაობენ. ამ მუშაობისათვისაც ამ საწყლებს რამდენათაც თავიანთი შიმშილი და სიღატაკე აწუ-ხებთ, მასზე მეტად სხვის ბრძანება და ბრძანებლობის ძალის დატანება, ჩვენ თუ კაცები ვართ, ჩვენ პირუტყვებისაგან ბევ-რად არ განვირჩევით, ბევრად მათზედ დაბლა ვდგევართ,

იგინი თავიანთის სოციალურის მდგომარეობით ჩვენ ბევრად გვჯობიან. იგინი თავიანთი საზრდოსთვის ყოველთვის და ყო-ველგან მუშაობენ, ჩვენ-კი არა პირუტყვების მსგავსთა გაჩე-ნილნი, მათზედ მაღლა მდგარი და გონების მექონენი ხშირად ვღალატობთ ჭეშმარიტ განსჭვრეტას და ლტოლვილებას. აქ ხშირად ესრთი პირი მეორის საქმით ხელმძღვანელობს, მეო-რის შრომით სტკბება. აი რა გვარს პატიოსნურს სამართლიანს მდგომარეობაში იმყოფება კაცობრიობა. ახ, რა ბედნიერება იქნებოდა, რომ ღმერთს ჩვენ შრომის მოყვარე პირუტყვები-ვით გავეჩინეთო. ამის შემდეგ ერის საცხოვრებელი ყოველ-თვის საკმარისი იქნებოდაო, მაგრამ რაკი კაცი ყველა ამის მისწრაფებას მოკლებულია, ამიტომაც არის იგი სიღარიბის, მონების და უთანასწორობის ჯურღმულში იხრჩობაო. აქ, ამ ლაფიდან და საგმობის მდგომარეობიდამ არც არავინ აპირებს გამოსვლას და თავის დახსნას. არა, აქ ყოველის პირის ნატვ-რას და სურვილს ის შეადგენს, რომ იმან როგორმე თავი დააღწიოს შრომის ნაწილს, ის როგორმე გაანთავისუფლდეს ამისაგან და ისე იყოს, რომ უშრომელად და უზრუნველად სცხოვრებდეს. ვინც ამაებს ფიქრობს, მათ უფრო ცოტა მეტი ოსტატობა და გაიძვერობა აქვთ შესწავლილი და ამიტომ ესენი ზოგის მიწა-მამულის წართმევის ოსტატობას სწავლო-ბენ, ზოგი სახლ-კარის, ზოგი ფულის და ზოგსაც თვით სიცოცხ-ლით.

საწყალის ხალხის ფეხზედ დასაყენებლად შარლ ფურიემ შეადგინა ერთი ვრცელი წესდება, რომელიც მის თანამედ-როვე რობერტ ოვენის წესდებიდან ბევრით არაფრით განირ-ჩევა. ეს არჩევს, რომ ღარიბებისაგან 300 კაცი უნდა შეიკ-რიფოს ერთად, ერთად დასახლდნენ, ესენი ერთად სცხოვ-რებდნენ, ამათგან ყველაფერი უნდა კეთდებოდეს და რაც 300 კაცის სასმელ-საჭმელის კეთებას უნდება დღესაო, ის მაშინ მის ნახევარიც არ დასჭირდებაო და ამიტომ დანარჩენი პირნი თავიანთ ცხოვრებას სხვა საჭირო საქმეზედ იმეცადი-

ნებენო. ამ წესწყობილების ვითარებას ეს დიდის შორს გამ-სჭვრეტლობის კრიტიკით არღვევს და ყოველს თავის დედა ჰაზრს ისე აფუძნებს. ეს აღწერს დალაგებ-დაწვრილებით, თუ ამ ძმურს სადგურში რაგვარი წესდება უნდა არსებობდეს. სხვათაშორის აქ უნდა იყოს წიგნთ-საცავიც, იმავე სახლში უნდა იყოს სამეჯლისო დარბაზი, წარმოდგენების გამართვა

და სხვანი. გარდა ამისა ყოველს გაჭირვებულს საქმეშიაც ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა და ერთად უნდა იმეცადინონ. თუ არ შეერთებული შრომა, შეერთებული ძმობა, ამხანაგობა, უამისოთ შეუძლებელია, რომ ხალხის ცხოვრების საქმე ფეხზედ დადგესო. ერთი სოფელი ერთს დიდს ოჯახს უნდა წარმოადგენდეს, ამათ ერთი პურის საცხობი უნდა ჰქონდეთ, ერთი სამზარეულო, ერთი სამრეცხველო, ერთი სარძევე და ყველა ხელოსნობის ქარხნებიც ასევე. ესენი სულ ერთად უნდა მუშაობდნენ თავიანთი ცხოვრებისთვის, რომ ყველამ ერთნაირად იცხოვრონო. ამათვე უნდა ჰყავდეთ ექიმი, წამალ-ხანა და სკოლა, სადაც მათი შვილები შესანიშნავ სწავლას უნდა იღებდნენ, უმაღლეს სასწავლებელში მათი შვილებისაგან მათ საჭირო უმაღლეს მექონ პირების რიცხვის კვალობაზე უჩდა მიდიოდნენ.

ასეთსავე მიმართვით ეხება ქალების კითხვებსაც. განკერძოებულს საკუთრებას, უფლებას და ცხოვრებას ეს სრულიად არღვევს, თუმცა იმასაც კი ამბობს, რომ შეიძლება ზოგიერთ პირებმა ცალკე იცხოვრონ, თუ კი მათი ცხოვრება სხვებისათვის სავნო არ იქნებაო, მაგრამ რაკი საჭიროება მოითხოვს მრავალთა ერთა ცხოვრების სასარგებლოთ და კომუნარული მიმართვის აღორძინებისათვის, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, ეს ცალკე ცხოვრების ოცნებაც მოისპოს და ყველა ერთად შეერთდეს, რომ მის საშუალებით ბევრს საწყალ კაცს მოეწმინდოს თვალიდან შიმშილის ცრემლები, ის გამოვიდეს თავისი უბედურის ეკონომიურის და სოციალურის მდგომარეობიდან, გამოვიდეს და ხეირიანის ცხოვრების წესებს და

ვრცელის განვითარების გზას დაადგეს. ფურიეს მოძღვრება ამ ამხანაგობის ძმობაში შესვლის ნებას თვით მდიდრებსაც აძლევს; ესენი თუ შევლენ და ძმობაში ფულს შეიტანენ, მერე აქედან ესენი თავიანთ ფულის სარგებლობას მიიღებენ, რადგანაც ამათი ფულები მსვლელობაში იქნება. გარდა ამისა ფურიეს მოძღვრების თანახმად ძმობაში მყოფთ მომუშავე მუშებთ რიცხვში უფრო მეტი ფასი იმათ უნდა მიეცეს, ვინც ჯანით მუშაობენ და არა იმათ, ვისაც ხალხი სიამოვნებაში მოჰყავთ, მაგალითად: კალატოზს, მჭედელს და დურგალს. მუშას უფრო მეტ ფასს არგუნებს, ვინემ სხვა რომელიმე სუფთა საქმის მცოდნე კაცს, რომელიც თავისი ცოდნით ხალხს დიდად ატკბობს და ასიამოვნებსო.

ბევრი რამ სურდა ფურიეს და ეს თავის დროის დაკვალად საკმარისად ოსტატურათაც იქცეოდა, თავის თანა მედროვე სოციალისტებს და კომუნისტებივით ეკკლესიის წესებს და სხვა რამეებს ეს მაინცა და მაინც არ ეხებოდა. ეს იყო მის უმთავრეს მიზეზად, რომ ამაღლდა ხალხის თვალში. ეს ამბობდა რომ ეკლესიას ამ წესწყობილებასთან საქმე არა აქვსო. ჩემი შრომა და ცდა მარტოთ მუშა და სოფლის ერის გაუმჯობესობის საქმეს შეეხება. აქ საწინაღმდეგო არაფერია.

ვის რათ უნდა ეწყინოს, რომ მშრომელი საწყალი კაცი რიგიან მოქალაქეთ იქცეს და პატიოსნური კაცური ცხოვრება ქონდეს, კაცი კაცურად ცხოვრებდესო. სარევოლიუციო საქმეებს და სამზადისებს ეს მიტომ უმზერდა სხვა თვალით, რადგანაც სისხლის ღვრა და დაქცევ-დანგრევა ბევრი მოხდა და ღარიბებს კი მაინც არა ეშველათ რა, ისინი მაინც მშივრები იხოცებიანო. ფურიე ამაში სცდებოდა, რადგანაც სარევოლიუციო საამზადისს ევროპის მეისტორიენი დიდს მნიშვნელობას აწერენ სასარგებლოდ მშრომელ ერის. ფურიე თავის მოხუცობამდე დაუცხრომლად მოღვაწეობდა და თავისაგან დაწერილს წესდებასაც უფრო აშალაშინებდა. ამას სრული იმედი ჰქონდა მისი, რომ კაცობრიობას ისეთ წესდებას მივცემ,

რის ძალითაც ძველი ცხოვრების წესდება მთლად დაეცემა, მოისპობა და მის სანაცვლოთ ახალი, თანასწორული წესები აღორძინდებაო. ამაზე დარწმუნებული იყოს იგი.

ამ ოცნების დროს 1829 წლებისთვის ამან მოამზადა დიდის სიბეჯითით ერთი ვრცელი წესდება, 1830 წელს, ერთის მინისტრის დახმარებით სახელმწიფოს წარუდგინა განსახილველად. სახელმწიფო საბჭომ ამის განხილვა ვეღარ მოასწრო, რადგან რევოლიუცია დაიწყო და საქმეები აირ-დაირია. ფურიეს ამ რევოლიუციის შესახებ თითქო უწინასწარმეტყველია, მიტომ შეადგინა ეს წესდება და წარუდგინა სახელმწიფოს სამმართველოში; თითქო ეს მიხვედრილოყო, რომ თუ მთავრობამ სიღატაკე არ მოსპო, რევოლიუცია დღეს თუ ხვალ მოხდება, მშიერი ხალხი მღელვარებს, მათ მოვლა და პატრონობა უნდათ, თორემ საქმე ცუდათ იქნება, მშიერი ხალხი თავს აიწევს, ბრძოლას დაიწყებს და ამ ბრძოლის მეოხებით დიდი ზარალიც მოხდება, ბევრი რამ გაუქმდება და მოისპობა, ბევრის სახლკარი და საცხოვრებელი იქმნება ანიავებული. ამიტომ უმჯობესად ვთვლი, რომ საწყალი ხალხის ცხოვრება და მუშაობა გაუმჯობესდეს და მით აცილებულ იქმნას თავიდან ყველა ის უბედურება, რაც დარბევისაგან მოსალოდნელია. ასე ავედრიდა და ასმენდა მთავრობას და უნდოდა, რომ ღარიბების შესახებ რამე გაკეთებულიყო მაგრამ ამის განხორციელებას ვეღარ მოესწრო და 1837 წელს გარდაიცვალა.

ვიტყვით მაგალითად ფურიეზედ, რომ ერთ უდიდეს პატივის მცემლათ მის ნამოწაფარ მსწავლულთ შორის კონსინდერანი ითვლება, რომელიც პირველ ხანებში დიდი მორჩილი იყო გერმანიაში აღორძინებულის მეტაფიზიკისა და ფურიეს მეოხებით შემდეგ კი სრულიად შეიცვალა და დიდი მორჩილი გახდა საფრანგეთში აღორძინებულის პოლიტიკურის ფილოსოფიისა, რომელ ფილოსოფიიდამაც ძლიერ მალე მიიღო ისეთი დაკვირვეება და დასკვნა, რომ იგი მერმისშიც

შარლ ფურიეს მოძღვრების გზას დაადგა და თეორეტიულად ნაღაღადებ ცხოვრების წესდებას პრაქტიკულად, ანუ საქმის კრიტიკულად დაუწყო შემუშავება და აღორძინება. ამან ამისთვის 1832 წელს გაზეთის გამოცემაც დაიწყო, სადაც განსაკუთრებით ფურიეს წესდებას იცავდა და ღაღადებდა, მაგრამ ამ გაზეთის გამოცემა დიდ ხანს არ გასტანდა, რადგანაც ფურიეს ღაღადების დედა აზრები სარევოლიუციო სამზადისის ოცნებებს აფართოვებდა ერშიო.

როგორც რობერტ ოვენი ინგლისში და სენ-სიმონი საფრანგეთში, ისევე ფურიე მისდევდა თავის სამშობლოში თანამემამულეთა წინაშე მშრომელ ერის შეერთებისთვის, ერთად კომუნარულად მუშაობას, ერთად აღებ-მიცემას და ამის განვითარებას. ფურიეს პროგრამა უფრო ფართო არის და მეცნიერულის ჰაზროვნებით გარემოცული. ამის შეგნება მას უფრო მეტიც ჰქონია. ეს ცხადათ ისკვნება იმ გარემოებიდამაც, რომ იგი იყო უდიდესი მუშაკი სხვა-და-სხვა მეცნიერებათა ნაწილშიაც. ამისი შრომა როგორც საყურადღებო არის ასოციაციურს ნაწილში, ისევე კოპერატიულს და უჯიშო ცხოვრების წესების მოსპობის და გარდაკეთებაშიაც, როგორც კომუნარულად, ისევე სხვაფრივ. მაგალითებრ ამისი გამოცდილებანი მეცნიერულად თუ ვაჭრულად, უნდა ითქვას, რომ საყურადღებო არის, რადგანც მთელი საგანი ვაჭრობის მიმართვის და მოწესრიგების მუშათა და ნოქართა, ანუ პრიკაშჩიკთა სასარგებლოდ დიდს წესდებათა შედგენის ოსტატობას ითხოვს. ფურიე კიდევ საყურადღებოა ამის ნაწილზედ, რადგანც მან სავაჭრო და სააღებ-მიცემო საქმეების კოპერატიულის მიზნით თვითაც ჰკიდებდა ხელს, თვით ამანაც გახსნა არა ერთხელ კონვენტის ჯარისთვის მაღაზია და სცადა საქმე, თუმცა აქ კარგად არ წაუვიდა, მაგრამ მას მაინც გული არ გასტეხია, რადგანაც საქმის გაფუჭების გარემოებას სხვადასხვა საზოგადო სარევოლუციო მიზეზებთა გავლენას აწერდა. ფურიე ითხოვს როგორც მუშათა განვითარებას და

მათს საამხანაგო სამუშაო ქარხნის წესების განსპეტაკებას, იგი ისევე საჭიროებს ვაჭრობის საქმეთა მოწეს-რიგებას, ვაჭრობის მექონ პირთა შორისაც წმინდა ფედერატიულს შეთანხმებითი ცხოვრების წესების პირობების ქონვას, ვაჭრობისთვის შრომას, მის არსებობის გასუფთავებას და მით თვის მსახურთა და პრიკაშჩიკთა ცხოვრების და სამსახურის წესების განკარგებას. ასეთ განვითარებას და საქმის გარდაკეთებას და უკეთეს გზაზედ დაყენებას, ინდიუსტრულს და ფედერატიულს სოციალურს ნაწარმოებაშიაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ყოველი მცნება ამისი არის კაცთა შორის კომუნარულად მოწესრიგება და მის საშუალებით, ანუ შეთანხმებულის მუშაობით და აღებ-მიცემით ყოველივე ძველის მოსპობა. იმ ძველის წესების, რაც კი ცუდი არის და უხეირო კაცის ცხოვ-

რებისთვის, მის მაგიერ იგი ითხოვს საუკეთესოს დაარსებას.

ამათს ასოციაციურს და კოოპერატიულს სწავლას და ჰაზრებს ღრმად აქვს ფესვები გადამდგარი ჩვენის ცხოვრების და მის აგებულების წეს-წყობილებაში, იგი მომავალის ცსოვრების განკარგებისთვის მედგარის ჭექა-ქუხილით თანასწორულს და სასარგებლო წესებს ამყარებს. ამათმა ასეთმა მოძღვრებამ დიდი გავლენა იქონია საერთოდ ევროპის ერთა მწავლულთ ეკონომისტთა განვითარებაზედ, თითქმის ამათის შრომით და ცდით წარმოიშობენ შემდეგ დროის საფრანგეთის და გერმანიის ყველა სოციალისტები, დემოკრატები, თვით ანარქისტები და სხვა-და-სხვა მებრძოლ მწერლებიც. ამათგან დაფუძნებული სწავლა და მათი ჰაზრები დღესაც მუშაობენ კაცის გონებაში გამუდმებით, იგინი ბნელად შთენილთ ხელოსან მუშებს და ვაჭრებს ავითარებენ კარგად და მასთან უადვილესად ამზადებენ მომავლის ცხოვრების განვითარებისაკენ.

ფურიეს მოძღვრებით, როგორც განვითარება და ახლად მოწესრიგება უნდა სამუშავო და საქარხნო საქმეებს მუშათა ფედერატიულის შეთანხმებითის სოლიდარობით, ერთმანერთის სიყვარულით და სხვანი. იგი ისევე ითხოვს ვაჭრობასა

და მრეწველობაშიაც, ყოველი მხარე და საგანი ასოციაციების თუ კოოპერატიულის მიმოსვლის ითხოვს რეალურს ნიადაგს, რეალურად მომზადებულს სამერმისოდ ასაღორძინებელ წესებს. ყოველივე უწესო, უგვანი და უხეირო რაც კი კაცის ცხოვრებას უშლის და აფერხებს, რაც ერთს ანიჭებს სიმძლავრეს, ქონებას, ძალას, კარგს ცხოვრებას და მის მეოხებით მეორეს კი ადაბლებს, მონად ხდის და მშიერს ჰკლავს, იგი უსათუოდ უნდა დაემხოს, დაიქცეს და დაინგრეს ისე, რომ მომავლისთვის მისი ნასახიც ხარ დარჩეს და ყოველივე აღიგავოს დედამიწის პირიდამ ისე, როგორც უვარგისობა. თუმცა ოვენის, სენ-სიმონის, ფურიეს და სხვათა ამ გვართა მოძღვრება ძალ-მომრეობისაგან ერთობ შორს დგას. მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ ამათი მიმართვა დიდათ უწყობს ხელს ძალ-მომრეობის დასაცემად მძლავრს ძალმომრევ ძალის აღორძინებას და აფეთქებას.

ამ ძალის აფეთქების დასაწყისი მათგან დიდის ზარბაზნების სროლით არ დაიწყო. ამათის ფიქრით სახელმწიფო და მისი წესები არის დიდი ოჯახური გაერთიანებული წესები და ძმათა შეთანხმებელი ცხოვრება. ასე და ამგვარად, როგორც აქ არის მეფე და მთავარი, ისევე ყველა მუშა, ხელოსანი და ვაჭარიც თავის სახლსა და სამუშავოს, თუ სასახლეში მეფე არის და მფლობელი მისი. ამათშივე არსებობს ყოველნაირი ბოროტება და ცხოვრების უწესოება, ჩვენ ჩვენი უხეირო წესების დაღუპვა და ამოგდება პირველად ამ პატარა ოჯახებიდამ და საქარხნო და სავაჭრო საქმეებიდამ უნდა დავიწყოდ და მის მერე ნელ-ნელა სხვაზედაც გადავალთ. ბოლოს ხალხის მომზადებით და შრომით ჩვენ შევიძლებთ

რომ გადავაბრუნოთ თვით სახელმწიფო წესებიც, ხოლო ყველა ამისთვის საჭიროა შრომა, მომზადება და თავ-თავის ალაგას ბრძოლაც და ერთს ნიადაგზე არ გაჩერება. უსამართლოების ძალას არ უნდა შეუშინდეთ და მის ბოროტებას ბარი და ნიჩაბი უნდა მოუმზადოთ, რომ ძირი-ფესვიანად ამოვარდეს.

იგი უნდა უსათუოდ დავამხოდ. ამ დამხობის ძალა გახლავთ უმრავლესობის ერთად დაკავშირება, ერთად შრომა, ერთად აღებ-მიცემა, ერთად ცხოვრება და მსოფლიო დიდი ძმობის დაარსება. ეს ასე იყო და მიტომაც პირველ ხანებშივე ამათ მოძრაობას და ასეთ აღორძინებას სამხედრო ძალამ, სახელმწიფო დიდკაცობამ და მდიდარმა არისტოკრატიამ ეჭვის თვალით შეხედეს, სოციალურს, ეკონომიურს, ასოციაციურს, თუ კოპერატიულს შეთანხმებითი დაბალი, ანუ შეუძლო ერის ფედერაცია თვის დასაღუპად მიიმჩნიეს, ანუ ტახტის მოსაშლელად. ამატომ უადგილო იქნება, რომ რობერტ ოვენი, სენ-სიმონი და ფურიე მარტოდ კომუნისტურ მქადაგებ" ლებად წავიღოთ და ვსთქვათ, რომ ვითომც ხალხის ცხოვრების წესები ამათ პოლიტიკურის წესების გარდაკეთებით და ბრძოლით კი არ უნდოდათ, არამედ კომუნისტურის ასოციაციებით და ფედერაციით. არა, ესენი მთავრობის წესების მტრებიც იყვნენ და ამათი იდეალები პირდაპირ მთავრობის დასამხობ ძალასაც უწყობდენ ხელს.

რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენადვე რობერტ ოვენის, სენ-სიმონის და ფურიეს ჰაზრებიც წინ მიდიოდა, ევროპის განათლებულ ერთა შორის ასოციაციური და კოპერატიული საქმეთა რიცხვიც წარმატებას ეძლეოდა. ამ მიმართვამ გერმანიაშიაც წარმატება მიიღო და აქაც მრავლად იწყეს სხვა-დასხვა ასოციაციების და კოპერატიული საქმეების დაწესება, მართვა და შრომა, მაგრამ სამწუხაროდ, პირველ ხანებში ყოველივე ესე ყველგან ხალხის მოუმზადებლობის წყალობით თითქმის უნაყოფოთ იმუსრებოდენ. მათზედ დახარჯული შრომაც უნაყოფოდ გამოდიოდა, ყოვილივე უმომავლოდ შჩნდებოდა. მიზეზები იყო ამათი მრავალნაირი და უფრო მთავრობის და მაღალი საზოგადოების ჩუმი მტრობა. ზოგიერთ ეკონომისტებს ასეთის ასოციაციათა და კოპერატიულ საქმეთა უკან ვრდომის გამო, ეჭვი დაებადათ და ცოტა არ იყოს ზემოხსენებულ პირთა მოძღვრებასაც ეჭვის თვალით შეხედეს,

ცოტა არ იყოს უნაყოფობა დასწამეს მათ მოძღვრებას. რამდენიმე ხნის განმავლობაში საქმე და ამის შესახებ კამათი ისე მოეწყო, რომ მათი ეჭვის ცნობები რუსეთშიაც გადმოვიდა, აქაც გაიდგა მან ფესვი და უკანასკნელ ოვენი, სენ-სიმონი, ფურიე, კაბე, რომფუკო და თვით პრუდონი და ლუი ბლანიც კი უტოპისტებათ იქმნენ ცნობილნი.

უტოპიას ქართულად არ მინდა სახელი უწოდო. ეს მაინც ჩვენში უცნობი ხილია და მუშებში ამისი არ ვინ არაფერი იცის ჯერეთ. იქნება შემდეგ კი გაირკვეს ესენი და ქართულ მწერლობაშიაც გაჩნდნენ მოხალისენი. ვინ იცის, შეიძლება ესეც მოხდესქართული მწერლობის ასპარეზზედ, აქაც, ქართველებშიაც გაჩნდნენ პოლიტიკური მებრძოლნი, მაგრამ არა, მე ამის იმედი არა მაქვს, რადგანაც დღესაც ქართველებს ერთად ერთი გაზეთ „დროების" მეტი სხვა არა გვაქვს რა და აბა სხვას ვიღა რას მოგვაქვავებს. ხოლო აქ კი უტოპიის გამო ვიტყვი ფურიეს შესახებ შემდეგს: მე ფურიეს უტოპისისტად ვერ ვიტყვი, ვერც სენ სიმონს, ვერც ოვენს. ამათი ასე ხსენება ცოდვა იქნება და დანაშაული. თუ ეს ასე არ უნდა იყოს, მაშინ სათქმელია ისიც, თუ სხვა ეკონომისტები, რომელნიც ხალხის თვალში კარგად ჩანან და დიდებულად, საკითხია, თუ ესენი რაღას ელტვიან? თავიანთის მოძღვრებით იგინი ხალხის ცხოვრებაში რასა მუსრავენ, რას სთვლიან დასტურად და აღსაგველად, რა უნდა ასწავლონ ხალხს და რას უქადიან ხალხს მომავლის ცხოვრების აღორძინებისთვის? ამის საპასუხო კითხვის გვერდით დავასახელებთ თუნდ ეკონომიურის სწავლის მამამთავარს კარლ მარქს, ლასალს და სხვებს. თვით ეს პირნიც კი, რამდენიც ნათელს ჰფენენ მუშა და მშრომელ ერის გონებას, რომელნიც მშრომელთ ანათლებენ და ამზადებენ ამათ უხეირო წესების დასამხობად, პიროვნების მნიშვნელობის აღსადგენად, შრომის გასათავისუფლებლად, პროგრესით და რიალურად წინ სვლის და ევოლიუციით გარდაქმნას, ვიტყვით, რომ თვით ამ დიდებულთ მო-

ძღვრებანიც ზემო ხსენებულ პირთა მოძღვრების გარშემო ტრიალებს. იგინიც თვისის სწავლით კომუნას, ფედერაციას და ანუ სხვა ძმობის ღირსებას ღაღადებენ.

როგორც პირველნი, ისევე მეორენი ხალხს ასწავლიან თვალის გახილებას, აღორძინებას, უსამართლოო წესების დამხობას, ყოველი სისაძაგლის და მონობის მოსპობას, კაცის ამაღლებას, ურთიერთ შორის დაკავშირებას, ერთად ცხოვრებას, ერთად შრომას, ერთად მოქმედებას, ძმობის, თავისუფლების, თანასწორობის და კაცობრიობის გაღვიძებას და წაქეზებას დიდის თანასწორობის ერთობისათვის. ამათი მოძღვრება არის თავისუფლება და თანასწორობა, ესე იგი კომუნა, რაც ტოკვილის სიტყვით და სმირნოვის, ასეთი კომუნა ძველადაც ჰქონდათ ხალხს, როცა იგინი უეშმაკონი ყოფილან. როცა მათში ეშმაკი კაცები გაჩენილან, მაშინ მათ თავიანთის ზარმაცობით და ეშმაკობით ეს კომუნა მოუსპიათ და ჩუმი ავაზაკური სატაც-საყვლეფი წესები დაუდგენიად, რომელ საიდუმლო წესებიდანც შემდეგში წარმოშობილა ძველ ხალხთა რომაელთა იმპერიული წესები. ჩვენის დროის გამოჩენილ ეკონომისტთა დევიზათ გამხდარია უწესოების დამხობა, სიღატაკის მოსპობა, უმეცრებისა, მონობისა და მის

მაგიერ თანასწორობის დაარსება, მომავალში მთელს დედა-
მიწაზედ ერთი დიდი მსოფლიო ძმობის დაარსება, დიდის
საერთოს ოჯახის, რომ ყველა ძმები იყვნენ და ყველა ერთ
ოჯახის შვილებათ ირიცხებოდენ, არც მშიერი იყოს ვინმე,
არც სიღატაკისაგან იტანჯებოდეს და კვდებოდეს და არც
მდიდარა იყოს ვინმე და ფუფუნებდეს მით. საფრანგეთის
ძველ კომუნელთა ეკონომისტთა, ტერორისტთა და სოციალ
დემოკრატ, სოციალ რევლუციონერთა და ანარქისტთა მოძ-
ღვრებაც ეს იყო, ეს არის.

ყველა გამოჩენილი სოციალისტი ამას ადგა. ამაზე იყო
მდგარი ცნობილი კონსიდერანი. მის შემდეგ მარკსმა 1847
პირველად გამოსცა ლონდოში კომუნისტიური მანიფესტი: –

„ყველა ქვეყნის ბოგანო (პროლეტარია) ხალხო ერთად
შეერთდით". ასევე სხვებმაც იმუშავეს და იმეცადინეს. ყველა
ამათი მეცნიერული სწავლის ქადილი არის ძველის დახავსე-
ბული წესების დაგმობა, მერე მის ნაგრევებზედ ახალი ძმური
სარევოლიუციო საქმეთა აღორძინება, რასაც რასაკვირვე-
ლია მომავალში მოყვება დიდი კომუნის დაარსება. ეს არის
თანამედროვე კრიტიკის ძალა და თხოვნა, ამას ითხოვენ დი-
დებულის მორელიდამ დაწყობილი თვით რუსის გამოჩენილ ბა-
კუნინსა და ლავროვამდე. ესენი ელტვიან თავიანთ მოძღვრე-
ბით სახელმწიფო წესების გარდაკეთებას, გარდახალისებას,
მუშა კაცის და ქალის შრომის განთავისუფლებას, სიღარიბის
და მონობის მოსპობას. ყოველ მათგანის მცნება ასეთ მიმარ-
თულებით ბრწყინავს. ყოველ მათგანის კალამი და მუშათა და
მებრძოლთა ასოციაციურს და კოპერატიულს საქმეთა გარ-
შემო ტრიალებს, ყოველ მათგანის მცნება ზემოხსენებულ საქ-
მეთა განხორციელების და აღდგენის იდეალებით არის გამ-
სჭვალული; ამას გვასწავლიან პირდაპირ იგინი. ამასვე გვა-
სწავლიდენ ძველად ყველა ის პირნი, რომელთა შრომაც
მოკლედ ჩვენ ავნუსხეთ და რომელნიც ზოგი ერთებთაგან კი
არ ვიცით კი რათა და უტოპისტებად არიან ხმობილნი. ბეხე-
რი, პეიფერი, ფლეროვსკი, თუნდ შულცე დელიჩიც, ამათ
ან სხვანი და ძველად ოვენი, სენ-სიონი და ფურიე ისეთის
თაღლითობით ყოფილიყვნენ სავსენი, რომ იგინი საკიცხნი
იყვნენ და საგმობნი ისე, როგორც ამას ეხლა ზოგიერთები
გვამცნევენ. ეს არა მგონია ასე იყოს.

ძველადაც ვინც კი იყვნენ, ოვენი, სენ-სიმონი, ფურიე,
როშფუკო და სხვანიც იმას გვასწავლიდენ და კომუნისაკენ
გვამგზავრებდენ, რასაც ახალ დროში ამავე გზასა და მი-
მართვის ღაღადება დაიწყეს როგორც გერმანიის ეკონომისტ
სოციალ-დემოკრატებმა, ისევე საფრანგეთის სოციალ-რევო-
ლიუციონერებთ შორის ბლანკმა, პრუდონმა, ლუი ბლანმა და
მრავალთაც სხვათა. ასე და ამ გვარად ჩვენ თუ უტოპისტად

ვაღიარებთ ზემოთ ხსენებულ პირებს, მათ მიმდევართაც უეჭ-
ველია – იგივე დაერქმევათ მომავალში სხვათაგან, რადგანაც
რასაც ოვენი ინგლისში ქადაგებდა, სენ-სიმონი და ფურიე
საფრანგეთში, დღეს იმასვე ქადაგებენ თითქმის მათივე მოწა-
ფენი მთელს ევროპაში. ამიტომ ჩვენგან ამ პირების მოძღვ-
რების შესწავლა არის საჭირო და არა კიცხვა-გმობა და უტო-
პისტად ძახილი. ამათი მოძღვრების გამოკვლევა, თვით ძლიერის
კრიტიკოსის კარლ მარქსის სიტყვით, მომავალს ეკუთვნის,
როცა კაცობრიობა გონებით თანასწორულის მაღალის იდე-
ალებით განსპეტაკდება.

1884 წ. ია მარუშიძე.